საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4180/01
26/04/2022

4180-01-2-202204260943

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს

მის: ქ. გორი, ცხინვალის გზ. მე-4 კმ

ელ.ფოსტა: gza.gori@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №6825 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარალეთში ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია როგორც არსებული საქმიანობის, ისე საწარმოში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზის) ტექნოლოგიური პროცესის აღწერას;
- საჭიროა დაზუსტდეს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის საწარმოდან გატანისათვის შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების, ტრანსპორტირებისთვის საჭირო გზებისა და ასევე, საწარმოში შემოტანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის განთავსების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღია გრუნტში. დოკუმენტში არ არის შეფასებული გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე, ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „სანიაღვრე გაწმენდილი წყალი, მცირე არხის საშუალებით, გადავა საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მცირე მშრალ ხევში. დოკუმენტში განხილული უნდა იქნეს ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების საკითხი ან წარმოდგენილი უნდა იქნეს ალტერნატიული ღონისძიება (მაგ: ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა);
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების

შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის განთავსების GPS კოორდინატებისა და ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ. ასევე, ნავთობპროდუქტების საცავის ტიპის, განლაგების (მიწისქვეშა/მიწისზედა), გადახურვისა და მათი სასუნთქი სარქველებით აღჭურვის შესახებ ინფორმაციას;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორსექციიან სალექარში დაგროვილი ლამის შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოო ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შესახებ და კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე